# მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება № 25

ფოთი 23 ივნისი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ნიკო ნიკოლაძის სახელობის ქალაქ ფოთის N 2 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მზისადარ ბახტაძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მეწარმე „თენგიზ წულაია" მის: საქართველო, ქალაქი ფოთი, ასათიანის ქ 82 (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

ხელშეკრულების საგანია ლაზერული პრინტერის კარტრიჯის დატუმბვა (CPV:30125100) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 75.00 (სამოცდათხუთმეტი და 00 თეთრი) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა**

4.1. მომსახურების მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ფოთი, ნინო ჟვანიას 9

4.2. მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა. კერძოდ:

- სსიპ ნიკო ნიკოლაძის სახელობის ქალაქ ფოთის № 2 საჯარო სკოლას დაუტუმბოს კარტრიჯი -5 ცალი.

**მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ ნიკო ნიკოლაძის სახელობის ქალაქ ფოთის № 2 საჯარო სკოლის დირექტორი ან მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

**მუხლი 7. პირგასამტეხლო**

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 8. ფორსმაჟორი**

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი**

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების

მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 23 ივნისიდან 2016 წლის 23 ივლისამდე. (ხელშეკრულების მოქმედების ვადა მინიმუმ 30 დღით უნდა აღმეტებოდეს მომსახურების მიღების ვადას)

**მუხლი 12. სხვა პირობები**

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

**მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

| | |
|---|---|
| **შემსყიდველი:**<br><br>სსიპ ნიკო ნიკოლაძის სახელობის ქალაქ ფოთის №2 საჯარო სკოლა<br>ს/კ 215 102 485<br>მის: ფოთი, ნინო ჟვანიას 9<br>ტელ: 577 12 25 62<br><br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს ,ვითიბი ბანკი ჯორჯია"<br>ბანკის კოდი UGEBGE22<br>ა/ა GE87VT0600000001203408<br><br>**დირექტორი მზისადარ ბახტაძე**<br><br>(ხელმოწერა) მ.ა | **მიმწოდებელი:**<br><br>ი/მეწარმე „თენგიზ წულაია"<br>ს/კ 62001025730<br>მის: ფოთი, ასათიანის ქ 82<br><br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს „საქართველოს ბანკი"<br>ბანკის კოდი BAGAGE22<br>ა/ა GE34BG0000000892697600<br><br>**ი/მეწარმე „თენგიზ წულაია"**<br><br>(ხელმოწერა) მ.ა |

ხელშეკრულების ფარგლებში მომსახურების

მიღება-ჩაბარების აქტი

ფოთი 23 ივლისი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთხელისმომწერნი, ერთისმხრივ „შემსყიდველი“ სსიპ-ქალაქ ფოთის ნიკო ნიკოლაძის სახელობის №2 საჯარო სკოლა, მისი დირექტორის მზისადარ ბახტაძის სახით და მეორეს მხრივ, „მიმწოდებელი“ ი/მ „თენგიზ წულაია“, საიდენთიფიკაციო კოდი №62001025730.

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ ჩატარებულია 2016 წლის № 25 ხელშეკრულების პირობით გათვალისწინებული მომსახურება.

| | |
|---|---|
| შესყიდვა მიიღო | შესყიდვა ჩააბარა |
| ქალაქ ფოთის ნიკო ნიკოლაძის | ი/მეწარმე |
| სახელობის №2 საჯარო სკოლის | „თენგიზ წულაია“ |
| დირექტორი | |
| --- | --- |
| მზისადარ ბახტაძე | თენგიზ წულაია |

# ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი) № 456
## გაწეულ მომსახურეობაზე (შესრულებულ სამუშაოზე)

„ 23 “ ივნისი 2016 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამყიდველი: | 62001025730 | მყიდველი: | 215102485 |
| დასახელება: | ი/მ „თენგიზ წულაია“ | დასახელება: | ქ. ფოთის №2 საჯარო სკოლა |
| მისამართი: | ქ. ფოთი, კოსტავას №3 ტელ: 595 - 355 - 275 | მისამართი: | ქ. ფოთი, ნინო ჟვანიას ქუჩა №9 |
| საბანკო რეკვიზიტები: | BAGAGE22 სს „საქართველოს ბანკი“ ანგ.№ GE34BG0000000892697600 | საბანკო რეკვიზიტები: | |

| № | შესრულებული სამუშაო | ერთ. | რაოდ. | ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | კარტრიჯის დატუმბვა | ცალი | 5 | 15-00 | 75-00 |
| - | - | - | - | - | - |
| - | - | - | - | - | - |
| - | - | - | - | - | - |
| - | - | - | - | - | - |
| - | - | - | - | - | - |
| - | - | - | - | - | - |
| - | - | - | - | - | - |
| | | | | თანხა სულ: | 75-00 |

ასანაზღაურებელი თანხა: სამოცდათხუთმეტი ლარი (სიტყვიერად)

გაყიდვის პირობები: უნაღდო ანგარიშსწორებით

| | | | |
|---|---|---|---|
| გამყიდველი: | თენგიზ წულაია (სახელი და გვარი) | მყიდველი: | ეკა სამფირალოვა (სახელი და გვარი) |
| ხელმოწერა: | | ხელმოწერა: | |

ბ.ა.

საქართველო. ინდივიდუალური მეწარმე. GEORGIA. INDIVIDUAL ENTREPRENEUR. თენგიზ წულაია TENGIZ TSULAIA *62001025730*

შენიშვნა: გამყიდველი არ წარმოადგენს დღგ-ს გადამხდელს.